

მიმართვა საზოგადოებასა და ხელისუფლებას.

ვინც ჩვენი ქვეყნის ისტორია იცის, უთუოდ შეამჩნავს, რომ საქართველო, ქართველი ერი იმითაც არის გამორჩეული, რომ საუკუნეების განმავლობაში მისი ზნე, ცნობიერება, წეს-ჩვეულებანი და ადათ წესები ქრისტიანობას შეეთვისა, შეენივთა და ისტორიულად ქართველობა მართლმადიდებლობათან გაიგივდა. ამ ნიშან-თვისების წყალობაა, რომ განვლეთ მოწამებრივი გზა – უფლის ჯვარი უღალატოდ ვზიდეთ, სარწმუნოება დავიცავით, ხოლო მასთან ერთად ერი და ქვეყანაც გადავარჩინეთ. იშვიათია ერი, რომელსაც ამდენი მოწამე ჰყავდეს, და, ალბათ, არ არის ერი, რომლის ასიათასმა შვილმა ერთ დღეს მიიღო მოწამებრივი აღსასრული - თავი დადო და არ უარყო ჭეშმარიტი სარწმუნოება, არ შეურაცხყო წმინდა ხატები. ასე გაბრწყინებულა არაერთხელ საქართველო, და ყველამ, ვინც საქართველოს გაბრწყინებაზე საუბრობს, უნდა იცოდეს, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გაბრწყინების გზა მართლმადიდებლობაა და ქრისტეს ერთგულება. სწორედ ესაა საქართველოს, ქართველი ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული, მრავალგზის გამოცდილი და ქართველებში განმტკიცებული ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ცნობიერების ხერხემალი, რომელზეც იგებოდა და უნდა აიგოს ქართული სახელმწიფოებრიობა.

მამულიშვილობა, პატრიოტიზმი უპირველესად იმას გულისხმობს, რომ პატივი მივაგოთ ჩვენს სახელოვან წინაპრებს, მათ ღვაწლსა და ამაგს, მათ ცნობიერებასა და აღმსარებლობას, ხოლო უპირველესად – მათ მოწამებრიობას, რათა ჩვენც ვიყვნეთ მათი მემკვიდრენი, მათი შათამომავალნი და მათი საქმის გამგრძელებლები. ყველა იგი, ვინც მტრობს ხსენებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, ვერ იქნება ჩვენი წინაპრების სრულფასოვანი მემკვიდრე. და თუ ასეთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი მაინც შეეცდება, შეეცვალოს ქართული სახელმწიფოებრიობის ზემოთ მოყვანილი იდეოლოგია, და დაამკვიდროს სხვა რამ მოძღვრება თუ იდეოლოგია, იგი იქნება მოძალადე, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და ისტორიულ მემკვიდრეობითობას, არა მხოლოდ ტერიტორიულ-მატერიალურს, არამედ სულიერს, ზნეობრივს, კულტურულს, აღიარებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ იდეოლოგიას, ნდობას უცხადებს ამ იდეოლოგიის ისტორიულ მესაჭეს, მატარებელსა და მქადაგებელს – საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, პატივს სცემს ამ ეკლესიის დოგმატურად შეუმცდარ კურსს, მიიჩნევს ეკლესიას ჩვენი ერის სულიერ წინამძღოლად.

ეს ისტორიული მადლიერება და სამართლიანობა ერისა ეკლესიისადმი, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ასახული და აყვანილი იყო სახელმწიფოებრივ რანგში და მის გარანტად მირონცხებული მეფე გვეკვლინებოდა. სწორედ ამ გზით იშვა „ძლევაი საკვირველი“ და ამ გზით მავალმა საქართველომ სახელმწიფოებრივად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად, სოციალურად, და რაც მთავარია – ზნეობრივად, უმაღლეს საფუძვრს მიაღწია. რაც შეეხება მადლიერებასა და სამართლიანობას ჩვენს დროში, იგი ნაწილობრივ, იურიდიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით აისახა კონსტიტუციურ შეთანხმებაში (კონკორდატში) სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, რომლის მიხედვითაც აღიარებულია ეკლესიის განსაკუთრებული როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, და აქედან გამომდინარე – აღიარებულია მისი, როგორც ერის სულიერი წინამძღოლის უფლებებიც. ამიტომ, ყველა, ვინც უგულებელყოფს ამ შეთანხმებას, ვერ იქნება ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი მემკვიდრე, არა მხოლოდ სულიერი, არამედ უკვე სამართლებრივი თვალსაზრისითაც.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სამწუხაროა, რომ ხდება ჩვენი უფლებების, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის უფლებების ხელყოფა, ხშირად დემოკრატიის სახელითა და

დემოკრატიზმის პრინციპის საბაბით. მრავალ მაგალითთაგან დავასახელებთ ერთ-ერთ მეტად მტკივნეულ ფაქტს, კერძოდ, იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო სკოლების მოსწავლეებს არა აქვთ აღასრულონ ღვთისგან მინიჭებული უფლება, სწავლა ლოცვით დაიწყო და ლოცვითვე დაამთავრონ. ლოცვა ხომ მოწაფის მიერ ღმრთისგან შემწეობის გამოთხოვაა და მადლობის აღვლენაა ამ შემწეობისა და წყალობისათვის? და თუკი ლოცვა ნებაყოფლობითი იქნება და ადგილი არ იქნება არანაირ იძულებას, როგორ უნდა ხელყოს მან ვინმეს უფლებები?

შედარებისათვის, ჩვენს ქვეყანაში ქართული ენა სავალდებულო გავხადეთ და მრავალი არაქართულენოვანი მოქალაქე, რიგ შემთხვევაში, იძულებულია, ისწავლოს იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იქნება სრულფასოვანი მოქალაქე. ამის საპირისპიროდ, მართლმადიდებლები არ მოვითხოვთ ვინმეს იძულების წესით მართლმადიდებლობაზე მოქცევას და მისგან ლოცვას. მაშ რატომ გვართმევენ ჩვენ, მართლმადიდებლებს, უფლებას, ვილოცოთ ყოველი საჭიროებისათვის, იქნება ეს სწავლა თუ სხვა საქმიანობა? განა ისრაელში, რომელსაც ყველა ხელისუფალი დემოკრატიის ოაზისათ მიიჩნევს, გაბედავს ვინმე ებრაულ სკოლებში თუნდაც ერთი მისხალით შეზრუდოს იუდაიზმი? ასევე საბერძნეთში, რომელიც არის ევროკავშირის, შენგენის, ნატოს წევრი, სწავლა სკოლებში ხომ ნებაყოფლობითი ლოცვით იწყება? მაშ, რატომ გავგაქვთ ოფიციალური თუ არაოფიციალური იძულების წესით საქართველოს სკოლებიდან წმინდა ხატები, რატომ შეიქმნა ჩვენი ქვეყნის სკოლებში უადგილო წოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, ქვეყანაში, რომლის ასიათასმა მოქალაქემ იმიტომ მიიღო მოწამებრივი სიკვდილი, რომ არ შეურაცხყო ღვთისმშობლის ხატი? მათ შორის ხომ უმრავლესობა ბავშვი იყო. როგორ უნდა გავუსწოროთ მათ სულებს თვალი, რანი ვართ ჩვენ მათ წინაშე: უმადურები, მოღალატეები, მათი წმინდა სისიხლის შეურაცხყოფელები. განა ჩვენ ღირსი ვართ, მათი ჩამომავლები და მემკვიდრენი გვერქვას, განა ჩვენ შეიძლება გვერქვას საართველოს მოქალაქენი, არა კონკრეტული ეპოქის, არამედ დროში განფენილი საქართველოსი?

ჩვენ ვერ შევეგუებით ასეთ უსამართლობას, ასეთ უმადურობას ჩვენი ისტორიისადმი და ასეთ მოღალატეობას ჩვენი წინაპრებისადმი. მთელი კატეგორიულობით მოვითხოვთ, რათა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაშვებულ იქნას ლოცვა, წმინდა ხატები და სალოცავი კუთხე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიჩნევთ, რომ ადგილი აქვს ძალადობას უმრავლესობის წინააღმდეგ, იმგვარს, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით.

მეორე პრობლემა, რაზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, არის ის განუკითხაობა, რასაც ადგილი აქვს ტელე-რადიო სივრცეში. გაშლილია ფართო ფრონტი იმ მიზნით, რათა ჩვენს საზოგადოებაში ტრადიციული ცნობიერებისა და ღირებულებების სანაცვლოდ დაინერგოს და დამკვიდრდეს ღირებულებები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ზნეობრიობასთან, ქრისტიანობასთან, ტრადიციული გაგებით ქართველობასთან. ამ მიზნით ტელეეკრანებიდან იღვრება გარყვნილება, სიძვა-მრუშობა, გაუკუღმართებული სექსი, ძალადობა, საღიზმი, ჯადოქრობა, ნარკომანიისკენ ბიძგის მიმცემი, მაცდუნებელი გადაცემები, დასცინიან წესიერებას, ქალწულობას, წმინდანებს, ჩვენს ტრადიციებს, იქადაგება ჰომოსექსუალიზმი, არის მცდელობა გარყვნილების ლეგალიზებისა და ა.შ. და ა.შ. არ იქმნება სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც დაარეგულირებენ ამ სფეროსა და ამ საქმიანობას.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად მიმდინარეობს მნიშვნელოვან მარეგულირებელ დოკუმენტზე – “ქცევის კოდექსზე” მუშაობა, რომელიც იძლევა ტელეპროდუქციის შეფასების კრიტერიუმებს სწორედ ზნეობრივი, ეთიკური კუთხითა და თვალსაზრისით. და განა ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის ეთიკური მრწამსი არ უნდა იყოს გათვალისწინებული? მაშ რატომ არ არის ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნაში დასაწყისიდანვე მიწვეული ეკლესია, საპატრიარქო? თავი რომ დავანებოთ უმრავლესობის უფლებებს, განა კონკორდატი

არ მოითხოვს, რომ ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეეხება ჩვენს ქვეყანაში მორალურ-ეთიკური ნორმების შემცველი სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავებას, ეკლესიისა და მისი საპატრიარქოს გარეშე არ უნდა ხდებოდეს? ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეკლესიას მიეცეს საშუალება, თავისი ზნეობრივ-ეთიკური შეხედულებები დაიცვას სამართლებრივად, მოვითხოვთ, რომ სახელმწიფომ პატივი სცეს მართლმადიდებელ ეკლესიას და მის სამწყსოს და შესთავაზოს ისეთი კოდექსები, კანონები და სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არ შეურაცხყოფენ ქრისტიანულ ღირებულებებს, მართლმადიდებლების გრძნობებსა და შეხედულებებს.

მსგავსი ვითარებაა ნაბეჭდი პროდუქციის რეალიზების სფეროში. თბილისის ქუჩებში შეუძლებელია გავლა, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების დახლები პორნოგრაფიასა და სხვა უხამსობას მიაქვს. და ეს ყოველივე ხელმისაწვდომია მოზარდისთვის, მათი თვალთახედვისათვის. ადგილი აქვს კანონის უხეშ დარღვევას: მავნე ზეგავლენა მოზარდებზე ტოტალურია, მაგრამ განმკითხავი არავინ არის. შეურაცხმყოფელია რიგი პროდუქციისთვის დარქმეული სახელებიცა და მათი რეკლამებიც. მაგალითად, ერთ-ერთი შოკოლადის რეკლამაზე შეუმოსავი ქალბატონია გამოსახული და დიდი ასოებით აწერია: “ღვთაებრივი ნეტარება”. ყოველად დაუშვებელია, პროდუქციას ერქვას “სამება” და სხვა უწმინდესი ქრისტიანული ტერმინი თუ სიმბოლო.

ასევე გვაშფოთებს ზოგიერთი სახელმწიფო მოხელისა თუ ორგანიზაციის აშკარად ანტიმართლმადიდებლური და ანტიეკლესიური პოზიცია და ქმედებანი, მცდელობა კონკორდატის ხელყოფისა, ეკლესიისთვის ისტორიულად მისი კუთვნილი ტაძრების ჩამორთმევისა და მწვალებელთათვის გადაცემისა, გვაშფოთებს, თუ რატომ არ უბრუნებენ ეკლესიას მის ქონების, მათ შორის – სიწმინდეებს, წმინდა ხატებს.

არის კიდევ მრავალი პრობლემა და საკითხი, რაც ჩვენს შემოფოთებას იწვევს და რაც გვაფიქრებინებს, რომ ქვეყანაში, სადაც უმრავლესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, სათანადოდ არ არის გათვალისწინებული და დაცული მათი უფლებები, რიგ შემთხვევაში კი ხელყოფილია იგი სხვადასხვა საბაბით, ყველაზე ხშირად კი – უმცირესობის უფლებების დაცვის საბაბით. ჩვენ ასეთ მიდგომას ვერ შევეგუებით, ეს არც დემოკრატიულია, არც სამართლიანი და არც სამართლებრივი. არც იმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ მართლმადიდებელთა საკმაო რაოდენობას არა აქვს მკაფიოდ და ჯეროვნად შემეცნებულ-გაცნობიერებული თავისი უფლებები და ღირსებები, და ამიტომ, შესაბამისად არ რეაგირებს ამ უფლებათა და ღირსებათა ხელყოფასა თუ შეზღუდვაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მართლმადიდებელი უმრავლეს შემთხვევაში ცდუნებულია პროპაგანდისტული თუ სხვა რამ ტექნოლოგიებით. სწორედ იმისთვის არსებობს ეკლესია, როგორც ერის მოძღვარი, რათა დაიცვას თავისი სამწყსო, მისი უფლებები, ისევე, როგორც იცავს სახელმწიფო თავის მოქალაქის, ხშირად თუნდაც სამართლებრივად უმეცარი მოქალაქის უფლებებს. ჩვენ ვერ შევეგუებით როგორც პირადად ჩვენი, ასევე ჩვენი სულიერი ძმებისა და დების ცდუნებაში შემყვანებელ ქმედებებს, ვერ შევეგუებით იმ სულიერ აგრესიას, რაც ჩვენი მოზარდი თაობისკენაა მიმართული, ვერ შევეგუებით იმ მოძალადურ პროზელიტურ ქმედებას, რაც მიმართულია ჩვენი შეჭირვებული, სოციალურად დაბეჩავებული და ეკონომიურად გაღარიბებული ერისადმი.

ამასთან, ჩვენ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი, ჩვენი წინაპრების მემკვიდრენი, მათი მრწამსის მატარებელნი, მათი ცნობიერების გამზიარებლები, მათი ადათწესებისა და ტრადიციების პატივისცემელები, თავს უფლებამოსილად მივიჩნევთ, რათა მოვთხოვოთ ჩვენს ხელისუფლებას, მისი ყველა შტოს წარმომადგენელს, დაიცვას ჩვენი უფლებები, გაითვალისწინოს ჩვენი მოთხოვნები და საშუალება მოგვცეს, რათა მივიღოთ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში – სიტყვითაც და საქმითაც.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ვართ ერთგულნი იმ ეროვნული იდეოლოგიისა, რომელიც ისტორიულად ჩვენმა ერმა შეიმუშავა. ამ იდეოლოგიის ხელყოფას ჩვენ ძალადობად, შეთქმულებად და მოღალატეობად მივიჩნევთ. ამ იდეოლოგიის ქვაკუთხედი რუის-ურბნისის ძეგლისწერაში ერთდროულად ფიცისა და ლოცვის სახით არის მოცემული: **"არ გეცრუვებით შენ, ჩვენო სიწმიდით მშობელო კათოლიკე ეკლესიაო, არ გაბცემით შენ, ჩვენო სიძაღულო – მართლმადიდებლობავ".**

ამინ!

2006 წ.

P.S.

ჩვენს მიერ დაწერილი ეს მიმართვა გადავეცით ახალგაზრდების ჯგუფს, რომელიც თავს „ახალგაზრდულ ინიციატივას“ უწოდებდა, რათა მასში გამოთქმული აზრები სამოქმედო დებულებებად ექციათ, მაგრამ მათ ეს არ ან ვერ განახორციელეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ჯგუფის ზოგიერთ წარმომადგენლებს სხვა, ამბიციური თუ კონიუნქტურულ-მერკანტილური მიზნები გააჩნდა, ზოგიერთს არაეკლესიური აზროვნება და ა.შ. ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენი ამ მიმართვის ჩვენსავე საიტზე გამოქვეყნება.